



შპს მაი შეფ თბილისი

ს/კ 402177452

ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

თბილისი 2025 წ.

სარჩევი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	Ошибка! Закладка не определена.
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. შპს მაი შეფ თბილისის მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა	7
2.1 მომზადების საფუძვლები	7
2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	8
3. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა, წესები და მეთოდები	8
3.1 ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა	8
3.2 საწარმოს აღრიცხვა-ანგარიშგება	8
3.3 საწარმოს ფინანსური ანგარიშგება	8
3.4 მოთხოვნები	8
3.5 არამატერიალური აქტივების აღრიცხვა	9
3.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა	9
3.7 ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა	9
3.8 ძირითადი საშუალებები	9
3.9 მოთხოვნები	10
3.10 საკუთარი კაპიტალი	10
3.11 ინვესტიციების აღრიცხვა	10
3.12 შემოსავლის აღრიცხვა	10
3.12 ხარჯების აღრიცხვა	10
3.14 ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისთვის	11
4. მოგება - ზარალი	11
4.1 წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:	11
4.2 მოგების გადასახადი	11
5. შემოსავალი	11
6. სხვა ხარჯები	11
7. ძირითადი საშუალებები	12
8. მარაგები	12
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	12
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
12. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	15



შპს შპს მაი შეფ თბილისი ს/კ 402177452

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	45087	24766	28995
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1739	12403	4722
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	814484	472131	156541
მზა პროდუქცია	1609	0	0
სხვა	812875	472131	156541
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7146	9817	10236
ძირითადი საშუალებები	211742	16347	11357
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1080198	535464	211851
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	359340	323819	100969
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5100	20	1500
საგადასახადო ვალდებულებები	33960	44620	18162
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	28762
სულ ვალდებულებები	398400	368459	149393
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	681798	167005	62458
სულ საკუთარი კაპიტალი	681798	167005	62458
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1080198	535464	211851

დირექტორი - სინან ერდოღრუჯა, პ/წ 01701142053



შპს შპს მაი შეფ თბილისი ს/კ 402177452

ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	3115519	2107379
საქონლის გაყიდვიდან	3115519	2107379
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1488631	-1013535
საერთო მოგება	1626888	1093844
სხვა საოპერაციო შემოსავალი	314	1177
დასაქმებულთა ანაზღაურება	-341145	-300658
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-14016	-2506
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-542983	-539491
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-199933	-149259
სულ საოპერაციო ხარჯები	-1097763	-990737
საოპერაციო მოგება	529125	103107


გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	30	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	529155	103107
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	529155	103107

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	529155	103107
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	167005	62458
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები განაწილებელ მოგებაში	-14362	1440
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	681798	167005

დირექტორი - სინან ერდოდრუჯა, პ/ნ 01701142053



შპს შპს მაი შეფ თბილისი ს/კ 402177452

ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)
წმინდა ფულადი ნაკადები

31/12/2024

31/12/2023

20291

-4229

საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)
წმინდა ფულადი ნაკადები

0

0

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა
ფულადი ნაკადები

0

0

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)

20291

-4229

ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

30

0

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

24766


28995

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

45087

24766

დირექტორი - სინან ერდოღრუჯა, პ/ნ 01701142053



შპს შპს მაი შეფ თბილისი ს/კ 402177452

ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში
'საპაიო კაპიტალი')

0 0 0

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

681798 167005 62458

გადაფასების რეზერვი

0 0 0

საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები

0 0 0

სულ საკუთარი კაპიტალი

681798 167005 62458

დირექტორი - სინან ერდოღრუჯა, პ/ნ 01701142053



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს მაი შეფ თბილისი რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2021 წლის 02 ივლისს.
სარეგისტრაციო ნომერი: B21066548
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402177452
იურიდ.მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ივანე ჯავახიშვილის ქ., N 83/5, ბ. 4
ფაქტური მისამართი: ქალაქი თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, აღმაშენებლის გზატკეცილი N86, ქალაქი თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, უშანგი ჩხეიძის 17.

შპს მაი შეფ თბილისის დამფუძნებელია სინან ერდოღრუჯა, 3/6 01701142053; 100% წილით.

დირექტორი - სინან ერდოღრუჯა, 3/6 01701142053

1.2. საზოგადოების ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს:

1.56.10.0 რესტორნები და საკვებით მომსახურების საქმიანობები.

2. შპს მაი შეფ თბილისის მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.


2.1 მომზადების საფუძვლები

ა.) წინამდებარე საადრიცხო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებზე დაყრდნობით.

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“.
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი (მსს ფასს).

ბ.) მოცემული საადრიცხო პოლიტიკა შესაძლებელია შეიცვალოს მსს-ით.
გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გ.) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელი. იგი ქმნის ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებისა და ანგარიშგების დროულად წარდგენის პირობებს; უზრუნველყოფს აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ყველა ქვედანაყოფის მიერ მთავარი ბუღალტრის მოთხოვნების დროულ შესრულებას.



2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც შპს მაი შეფ თბილისი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც შპს მაი შეფ თბილისის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტირების დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტირების დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

3. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა, წესები და მეთოდები

3.1. ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა - კომპიუტერული პროგრამა „ორის-ბუღალტერიის“ მეშვეობით.

3.2. საწარმოს აღრიცხვა-ანგარიშგება

- საწარმოს აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სხვაობა სააღრიცხვო მოგების გადასახადის ხარჯსა და საგადასახადო მიზნებით გამოანგარიშებულ, ბიუჯეტში გადასახდელ მოგების გადასახადს შორის აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით;

3.3. საწარმოს ფინანსური ანგარიშგება

- საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. მოგება-ზარალის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი სახსრების ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით;

3.4. მოთხოვნები

- გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით;
- მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით, რისთვისაც მოთხოვნების კორექტირება ხდება საექსპო მოთხოვნების თანხით.
- საექსპო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება წმინდა რეალიზაციიდან წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით;



3.5. არამატერიალური აქტივების არღიცხვა

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;
- საკუთარი ძალით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით;
- ფინანსური ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით;

3.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა


- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი წარმოების მარაგები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღირიცხვის მეთოდი - უწყვეტი;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა თვითღირებულების განისაზღვრის მეთოდი „საშუალო-შეწონილი“;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასების მეთოდით.
- მასალების უსასყიდლოდ გადაცემა ჩამოიწერება არასაოპერაციო ხარჯებში, ხოლო საგადასახადო მიზნისათვის გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით; დამატებითი ანალიზური აღრიცხვა დასაშვებია სხვა კომპიუტერული პროგრამებითაც;

3.7. ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;
- სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე;

3.8. ძირითადი საშუალებები

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება მისი თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, დაუბრუნებად გადასახადებს, საწარმოოდ ტრანსპორტირების, ადგილმდებარეობის მომზადების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს. იმპორტით მიღებული მოწყობილობები შემოსავალში აიღება მათი განბაჟების დღეს არსებული კურსით;
- საკუთარი ძალით, სამეურნეო წესით, შექმნილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება მისი შექმნის ფაქტობრივი თვითღირებულებით;
- ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება საიჯარო ქონების რეალური ღირებულებით, ან თუ უფრო ნაკლებია, იჯარის დასაწყისისათვის გაანგარიშებული მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით;
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;



- ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით. გამოწვევის წარმოადგენს მსუბუქი ავტომობილები, რომელთა ცვეთა ხდება მწარმოებელთა მეთოდით;
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;
- ხელსაწყოები და ინვენტარი, რომელთა გამოყენების ვადა ერთ წელზე ნაკლებია ან მისი სასარგებლო გამოყენების ვადა დაუდგენელია, აისახება გამიჯნულად, მიმდინარე აქტივების ანგარიშზე;
- ძირითადი საშუალებების სალიკვიდაციო ღირებულებისა და ცვეთის ნორმას ადგენს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნული კომისია;

3.9. ვალდებულებები

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც საზოგადოებას მოუწევს;
- სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებული უნდა იქნენ იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი იქნენ გაწეულნი, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზნით გამოიყენება აღებული სესხი;
- საწარმოში მომუშავეთა ხელფასების დარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. თუ შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არაა, ან მასში არ არის ცალსახად განსაზღვრული შრომითი ანაზღაურების სიდიდე, მაშინ ანაზღაურების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საწარმოს ხელმძღვანელის ხელმოწერით დამტკიცებული ხელფასის უწყისი;

3.10. საკუთარი კაპიტალი

- საზოგადოების კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და შეადგენ 0 ლარს;
- კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით;

3.11. ინვესტიციების აღრიცხვა

- მიმდინარე ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით
- გრძელვადიანი ინვესტიციები - თვითღირებულებით

3.12. შემოსავლის აღრიცხვა

- შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, ბასს-ების შესაბამისად, ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცული უნდა იქნეს მიმდინარე პერიოდის ამონაგებასა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი. საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტობრივად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება ნეტო ღირებულებით, მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ, აქციზი) გარეშე;

3.13. ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტობრივად დაფარვის მომენტისა;



3.14. ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისთვის

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები ერთობლივი შემოსავლებისა და გამოსაქვითი ხარჯების მიმართ აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში.

4. მოგება - ზარალი:

4.1. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დასაშვებია შუალედური დივიდენდების გაცემა;
- კომპანიის განვითარების რეინვესტირებისთვის;
- სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

4.2. მოგების გადასახადი:

- კომპანია იბეგრება მოგების გადასახადის ახალი სისტემის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს;
- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- სსკ-ით დადგენილი ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

5. შემოსავალი

შპს მაი შეფ თბილისის საქმიანობა არის - რესტორნები და საკვებით მომსახურების საქმიანობები.


შემოსავალი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
საქონლის გაყიდვიდან	3115519	2107379
მომსახურების გაწვიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სულ	3115519	2107379

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
გაყიდვების თვითღირებულება	-1488631	-1013535
დასაქმებულთა ანაზღაურება	-341145	-300658
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-14016	-2506
იჯარის ხარჯი	-542983	-539491
საპროცენტო ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-199933	-149259
სულ საოპერაციო ხარჯები	-1097763	-990737



7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
საინვესტიციო ქონება	0	0	0
ძირითადი საშუალებები	211742	16347	11357
სულ	211742	16347	11357

8. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
დაუმთავრებელი პროექტი	0	0	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	814484	472131	156541
სულ	814484	472131	156541

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	1739	12403	4722
სხვა მოთხოვნები	0	0	0
სულ მოთხოვნები	1739	12403	4722

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ფული ბანკში	35342	23411	28566
ფული საღაროში	9745	1355	429
სულ	45087	24766	28995



11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	359340	323819	100969
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5100	20	1500
ანარიცხები	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	33960	44620	18162
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	28762
სულ ვალდებულებები	398400	368459	149393

12. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად შპს მაი შეფ თბილისი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. შპს მაი შეფ თბილისი გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დეპოზიტები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1739	12403	4722
ფული და ფულის ეკვივალენტები	45087	24766	28995
სულ ფინანსური აქტივები	46826	37169	33717



	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	359340	323819	100969
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5100	20	1500
საგადასახადო ვალდებულებები	33960	44620	18162
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	28762
სულ ფინანსური ვალდებულებები	398400	368459	149393

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა შპს მაი შეფ თბილისის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ შპს მაი შეფ თბილისი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

შპს მაი შეფ თბილისი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს შპს მაი შეფ თბილისის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, შპს მაი შეფ თბილისი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.


შპს მაი შეფ თბილისის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. შპს მაი შეფ თბილისის მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს შპს მაი შეფ თბილისის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

კაპიტალის მართვა

შპს მაი შეფ თბილისი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.



ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შპს მაი შეფ თბილისი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

შპს მაი შეფ თბილისის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. შპს მაი შეფ თბილისის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. შპს მაი შეფ თბილისის მენეჯმენტი დამატებით მიმოიხილავს რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენს ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას შპს მაი შეფ თბილისის რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2025 წლის 30 სექტემბერს.

